17/02/2025

მეუფე შიო: ‘იმისთვის, რომ ჩვენც გავხდეთ ღვთის მიმრქმელები, მხოლოდ ერთი რამ მოგვეთხოვება: შევიყვაროთ უფალი, ვიცავდეთ მის მცნებებს და არ დავხუროთ ჩვენი გულის კარები, როდესაც უფალი გვიკაკუნებს’

საპატრიარქო ტახტის მოსაყდრის, სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტ შიოს (მუჯირი) ქადაგება მირქმის დღესასწაულზე

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმინდისათა.

ძვირფასო მამებო, ძმებო და დებო, გილოცავთ მირქმის დიდებულ დღესასწაულს და გადმოგცემთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევას.

ამ დღეს მირქმა ეწოდება იმიტომ, რომ იერუსალიმის ტაძარში ღრმად მოხუცებული მართალი სვიმეონი მიეგება ორმოცი დღის ჩვილ იესოს, თავის ყოვლადწმინდა დედასთან ერთად. ეს დღესასწაული ძალიან მნიშვნელოვან სწავლებას გვაძლევს ჩვენი სულიერი ცხოვრებისთვის.

გადმოცემის თანახმად, მართალმა სვიმეონმა იცოცხლა სამას წელიწადზე მეტი, რადგან მას სულიწმინდისგან წინასწარ ეუწყა, რომ არ გარდაიცვლება ისე, რომ თავისი თვალით არ იხილავდა ქრისტე მაცხოვარს. როდესაც მან ხელში აიყვანა ჩვილი იესო, მიიხუტა და გახარებულმა წარმოთქვა შესანიშნავი სიტყვები: „აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვარება შენი“ (ლკ. 2, 29-30). ეს ნიშნავს, რომ აღსრულდა ყველაფერი ის, რისთვისაც მე ვცხოვრობდი, ჩემი თვალით ვიხილე მესია, მხსნელი სოფლისა და ამიერითგან შემიძლია მშვიდობით შევხვდე სიკვდილსო.

ძვირფასო ძმებო და დებო, იმისთვის, რომ ჩვენც შევძლოთ გარდაცვალების წინ ასეთი სიტყვების წარმოთქმა, უნდა გავხდეთ ღვთის მიმრქმელები. მართალმა სვიმეონმა ასეთ დიდ ღირსებას მიაღწია, მიიღო ეს დიდი პატივი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ხელში აიყვანა იესო ქრისტე და მიიხუტა, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში თავის გულში ატარებდა იესო ქრისტეს. ამდენად, ყველა ადამიანს შეუძლია გახდეს ღვთის მიმრქმელი, ყველა იმას, ვინც თავის გულში შემოუშვებს უფალს. აი, სწორედ ამისკენ მოგვიწოდებს უფალი იესო ქრისტე, როდესაც ამბობს: „ვინც მე შემიყვარებს და დაიცავს ჩემს სიტყვებს, მას შეიყვარებს მამაჩემი და ჩვენ მივალთ და მასთან დავივანებთ“ (ინ. 14,23). და სხვაგან ამბობს: „აჰა, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. ვინც გაიგებს ჩემს ხმას და გამიღებს კარს, შევალ და მასთან ვივახშმებ და იგი ჩემთან“ (გამოცხ. 3,20).

ე.ი. იმისთვის, რომ ჩვენც გავხდეთ ღვთის მიმრქმელები, მხოლოდ ერთი რამ მოგვეთხოვება: შევიყვაროთ უფალი, ვიცავდეთ მის მცნებებს და არ დავხუროთ ჩვენი გულის კარები, როდესაც უფალი გვიკაკუნებს, იქნება ეს მისი სიტყვებით წმინდა სახარებიდან, ბიბლიიდან, თუ იქნება ეს განსაცდელების მეშვეობით. ის, რომ ადამიანი ღვთის ტაძარია, ამას ასწავლიან მოციქულებიც. მაგალითად, წმინდა პავლე მოციქული ამბობს: „ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეული ტაძარია თქვენში დამკვიდრებული სულიწმინდისა“ (I კორ. 6,19). სხვაგან ასევე ამბობს: „ნუთუ არ იცით, რომ ქრისტე არის თქვენში“ (2 კორ. 13, 5).

ამრიგად, ვიმეორებ, არ უნდა დავუხუროთ გულის კარი, როცა მოგვიწოდებს უფალი, როცა სურს შემოსვლა ჩვენი გულის საიდუმლო ტაძარში. აი, ეს არის მიზანი ქრისტიანული ცხოვრებისა, ძვირფასო ძმებო და დებო.

და რამ გახადა ღირსი მართალი სვიმეონი, რომ ღვთის მიმრქმელი გამხდარიყო? როგორც ამბობს სახარება: „იგი იყო მართალი წინაშე უფლისა და მოელოდა ნუგეშინისცემას ისრაილისასა“ (ლკ. 2,25). ე.ი. იგი ცხოვრობდა საღვთო სჯულის მიხედვით და თავის გულში ატარებდა იესო ქრისტეს. ამიტომ რას ნიშნავს ეს? რომ მხოლოდ გარეგნული შეხება ქრისტესი არაფრის მომცემია, თუ ამას თან არ ახლავს შინაგანი რწმენა და სიყვარული, მაშინ უსარგებლოა მხოლოდ გარეგნულად შეხება,

ვინაიდან ისრაელშიც ბევრი ადამიანი ეხებოდა უფალს ხელით, ფიზიკურად, მაგრამ ამან მათ არანაირი სარგებელი არ მოუტანა, რადგან იმისთვის, რომ გახდე ღვთის მიმრქმელი, უნდა გიყვარდეს უფალი და იცავდე მის მცნებებს.

კიდევ ერთხელ გილოცავთ, ძვირფასო ძმებო და დებო, ამ დიდებულ დღესასწაულს; ვეცადოთ ჩვენც, რომ ვისწრაფოდეთ ამ დიდი პატივისკენ და გამოვავლინოთ ჩვენი სიყვარული ღვთისადმი მისი მცნებების დაცვით, რომ ჩვენს გულებშიც მოიწყოს უფალმა თავისი წმინდა სავანე, რომ ჩვენც შევძლოთ, გავხდეთ ღვთის მიმრქმელები ამ ცხოვრებაში, ხოლო ამ წუთისოფლიდან გასვლის ჟამს ჩვენც წარმოვთქვათ ეს დიდებული სიტყვები: ,,აწ განუტევე მონა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით”. ამინ.

თბილისის ყოვლადწმინდა სამების სახელობის საპატრიარქო ტაძარი

15 თებერვალი, 2025 წელი

ელექტრონული ვერსია მოამზადეს ანზორ ჩიქობავამ და თამარ ასათიანმა

sazu.ge